შეცდომების გასწორება

1. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა ძალზედ, უნდა იყოს ძალზე.

თანდებული ზედ აღარ გამოიყენება, თანამედროვე ქართულში მართებულია თანდებული ზე;

2. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა უთქვია, უნდა იყოს უთქვამს, რადგან ასოთშეთანხმება ავ, რომელიც სიტყვის ფუძეშია, პირიან ფორმაში ავ თემის ნიშნად გადაიქცევა და მწკრივებში გადაჰყვება ზმნას (თქმა, უთქვამს);

3. სინტაქსური შეცდომაა ბევრი პრობლემები, უნდა იყოს ბევრი პრობლემა. ბევრი მორფოლოგიურად რიცხვითი სახელია, ის თავისთავად აღნიშნავს მრავლობითს და მასთან სხვა წინადადიბის წევრი მრავლობით რიცხვში ვერ დადგება;

4. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა ქონდა, უნდა იყოს ჰქონდა, რადგან ამ ორპირიან ზმნაში არის მე-3 ირიბი ობიექტური პირი, რომელსაც ყ თანხმოვნის წინ დაერთვის ნიშანი ჰ.

5. სტილისტური ხარვეზია დარდს იოხებდა. უნდა იყოს დარდს იქარვებდა. ეს მყარი შესიტყვება დარღვეულია გულს იოხებდა ფრაზეოლოგიზმის გავლენით, ესე იგი, უნდა იყოს გულს იოხებდა, მაგრამ დარდს იქარვებდა;

6. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა უახლოვეს, უნდა იყო უახლოეს. ამ სიტყვაში ვ არ ერთვება;

7. პუნქტუაციური შეცდომაა წინადადებაში "არ იცოდა რატომ ვერ უგებდა ხალხი"; იცოდას შემდეგ აუცილებელია მძიმე. ეს უკავშირო შეერთებით რთული ქვეწყობილი წინადადებაა და შედგება მთავარი (არ იცოდა) და დამოკილებული (რას იტყოდა ხალხი) წინადადებებისგან. მათ შორის მძიმის დასმა აუცილებელია. ამას იოლად გავარკვევთ, თუ წინადადებებს შოროს თუ კავშირს მოვიაზრებთ;

8. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა სიტყვა არა ერთის ცალცალკე დაწერა. ეს ნაცვალსახელი ერთად იწერება, როცა არ მოსდევს სიტყვა არამედ (არაერთი პრობლემა), ხოლო ცალ-ცალკე – როცა მოჰყვება სიტყვა არამედ (არა ერთი, არამედ მეორე);

9. მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული შეცდომაა სჩანს, უნდა იყოს ჩანს. ეს ერთპირიანი ზმნაა (ის ჩანს), ეწყობა მხოლოდ სუბიექტური პირი და ობიექტის ნიშანი ს აქ უადგილოა;

10. სინტაქსური შეცდომაა მისი სევდა, უნდა იყოს თავისი სევდა., რადგან ნაცვალსახელი თავისი მე-3 პირის კუთვნილებას აღნიშნავს და აქ სუბიექტი სწორედ მე-3 პირია. ნაცვალსახელი მისი აქ სხვის კუთვნილებას გამოხატავს და არა აკაკისას;

11. სტილისტური ხარვეზია "მოახდინა იმისი დამალვა". ეს რუსული ენიდან გადმოღებული კალკია, ქართულში ითქმის "მან დამალა ის";

პუნქტუაციური შეცდომაა წინადადებაში "ამას რა თქმა უნდა, დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა". "რა თქმა უნდა" ჩართულია, ის წინადადების წევრებისგან მძიმეებით გამოიყოფა. უნდა ეწეროს ასე: "ამას, რა თქმა უნდა, დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა".